ცხადდება კონკურსი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინასებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის არჩევა

მხოლოდ აკადემიური პერსონალისთვის

თურქეთი

უნივერსიტეტი	**უშაქის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ენები)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2025 წლის 12–16 მაისი მობილობა გულისხმობს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობას
ვებ-გვერდი	https://www.usak.edu.tr/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე, დასწრება აკადემიური პერსონალის კვირეულზე (12–16 მაისი, 2025წ.)

უნივერსიტეტი	**ესქიშეჰირ ოსმანგაზის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2025 წლის 12–16 მაისი მობილობა გულისხმობს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობას
ვებ-გვერდი	https://ogu.edu.tr/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე, დასწრება აკადემიური პერსონალის კვირეულზე (12–16 მაისი, 2025წ.)

ესპანეთი

უნივერსიტეტი	**CPIFP Alan Turig**
მიმართულება (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის)	ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილების მიმღები პირები, სპორტის და კულტურის დეპარატმენტი, ესპანური ფილოლოგია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (ეკონომიკის მიმართულება)
მობილობის განხორციელების ვადა	მობილობა გულისხმობს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობას 2025 წლის გაზაფხულის სემესტრში
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

აპლიკანტთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე რეკომენდაციის წერილი (ინგლისურ ენაზე), რომელიც გაცემული უნდა იყოს ფაკულტეტის დეკანის მიერ
5. შევსებული სამუშაო გეგმა **(Mobility Agreement)** ინგლისურ ენაზე თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; დანართი 1;
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (pre-acceptance) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებულმა რელევანტური მიმართულების აკადემიურმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე *outgoingmobility@tsu.ge* **მიმდინარე წლის <u>16 აპრილის 16:00 საათამდე</u> (თბილისის დროით).**

<u>დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:</u>

გასაუბრება ჩატარდება **17 აპრილს,** ცოცხალ რეჟიმში. გასაუბრების ზუსტი დრო აპლიკანტებს მიეწოდებათ მათ მიერ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე.

ბ) ფინანსები და მობილობასთან დაკავშირებული სხვა პირობები:

- <u>გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მიმღები უნივერსიტეტი ანაზღაურებს როგორც სამუშაო, ასევე ერთ ან ორ სამგზავრო დღეს, რაც განიხილება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღების და გადაწყვეტილების შემდგომ.</u>

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე ***outgoingmobility@tsu.ge***